ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2022 წლის 21 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 08/01/2015 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.128.016204).

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“

2. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ №1 დაანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„დანართი №1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4961
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3751
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3267
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2662
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2420
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1936
7	პირველი რანგი საკრებულოს აპარატის უფროსი	2420
8	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1331

9	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1089

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან..

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**